№ 218 21 ღვინობისთვე, ქერა 1866—1879 21 ღვინობისთვე, ქერა № 218

დროება

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: სიონლაკზე, ბალის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ᲮᲔᲚᲘᲡ-ᲛᲝᲬᲔᲠᲐ მიიღება რედაქციაში. ᲑᲐᲠᲔᲨᲘ მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ: მთელის წლისა—8 მ., ნახევარ წლისა—5 მ., სამის თვის—3 მ., ერთის თვისა—1 მ.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ

ᲤᲐᲡᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐ: დიდ-ბეჭდებით ასოზე 1 კაპ., ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲔᲜᲐᲠᲘ თი—5 მ., პატარათი—4 კაპ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ აქვს გასწოროს და შემოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დუბრუნდება.

ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲦᲘᲠᲡ ᲨᲐᲣᲠᲐᲓ.

ᲛᲪᲕᲗᲘᲡ-ᲛᲨᲝᲚᲒᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ, ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲬᲕᲐ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 24 ᲦᲕᲘᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲔᲡ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲢᲠᲣᲞᲐᲡᲐᲒᲐᲜ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲐᲢᲠᲨᲘ:

I

ᲞᲔᲞᲝ

ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲐ ᲡᲐᲛᲐ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ Ბ. ᲡᲣᲜᲓᲣᲚᲘᲐᲜᲪᲘᲡᲐ.

II

ᲣᲤ. ᲛᲔᲡᲮᲘ ᲬᲐᲘᲙᲘᲗᲮᲐᲕᲡ ᲘᲛᲔᲠᲣᲚ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲡ;

ᲘᲝ. ᲡᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲘ ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ.

ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲙᲐᲡᲡᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ, ᲑᲝᲚᲝᲕᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ.

ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲑᲐ 7½ ᲡᲐᲐᲗᲖᲔ.

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘᲡ „ᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ“ ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ, ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ, ᲐᲠ ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘ, 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. „ᲛᲗᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲔᲑᲔᲨᲘ“ გამოცხადებულია, რომ მთავრობას აუკრძალავს ცალკე ნომრების გაყიდვა გაზეთის „პეტერბურლის ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡᲐ;“ შინაგან საქმეთა მინისტრმა მაკოვმა გადაწყვიტა გაზეთის „სმოლენსკის ᲣᲬᲧᲔᲑᲘᲡ“ მოსპობა.

ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲢᲐᲜᲘᲡ ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲛᲐ წარუდგინა უმაღლესს მთავრობას თავისაგან შედგენილი პროექტი ᲢᲐᲨᲔᲜᲢᲐᲛᲓᲘᲜ რკინის გზის გაყვანისა; ისმის, რომ მთავრობას მოსწონს ᲙᲐᲣᲤᲛᲐᲜᲘᲡ წინადადება. ᲐᲖᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ საქმეების გამო, ᲙᲐᲣᲤᲛᲐᲜᲘ საჩქაროდ უნდა დაბრუნდეს ᲗᲣᲠᲥᲘᲡᲢᲐᲜᲨᲘ.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲒᲐᲖ. „ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲨᲘ“ ᲧᲐᲜᲓᲐᲐᲠᲘᲓᲐᲛ ᲬᲔᲠᲔᲑᲘᲐᲜ, რომ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚᲛᲐ ᲘᲣᲖᲛᲐ განფანტა ᲙᲔᲚᲐᲗ-ᲖᲘᲚᲖᲐᲘᲡᲗᲐᲜ დაბანაკებული ᲑᲘᲚᲖᲐᲘᲡ ᲯᲐᲠᲘ; ამ განცხარებული შეტაკების დროს ინგლისელების მხრით ორი მოკლეს და 78 დაჭრეს. ᲥᲐᲑᲣᲚᲨᲘ ᲯᲔᲠ-ᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜᲝᲑᲐᲐ; ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲔᲢᲧᲝᲑᲐ, ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲯᲐᲠᲘᲡ ᲔᲨᲘᲜᲘᲐᲜᲗ; მაგრამ, თუ რისმესი იქედი შიეცათ ამბობენ, ხელ-ახლად აჯანყდებიანო.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 16 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. მითხადფაშამ თხოვნა მისცა ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲡ სირიის ᲚᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ თანამდებობიდამ დათხოვნისა; სულთანმა უარი უთხრა, ზოგიერთები ამბობენ, იმიტომაო, რომ ᲚᲔᲘᲐᲠᲓᲛᲐ ᲣᲠᲩᲘᲐᲝ, და ზოგს კი მიზეზად ის გამოერება მოჰყავს, რომ ეითომც სულთანს ეშინიან, რომ დაითხოვოს მითხად-ფაშა სამსახურიდამ, მაშინ ის სტამბოლში მოვაო და აქედამაც ველარ განვდევნიო. ᲮᲝᲜᲗᲥᲐᲠᲘᲡ სასახლეში რამდენიმე პირი დაატუსაღეს; სხვათა შორის დაჭერილია სულთანის გვარდიის უფროსი, რომელსაც აბრალებენ, ეითომც სულთანის წინააღმდეგ შეთქმულობაში მიეღოს მონაწილეობა.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲐᲚᲑᲐᲜᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘᲡ მაგივრად, ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ მმართებლობამ ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ სამზღვარზე აზიელი ჯარები გაგზავნა.

ᲪᲔᲢᲘᲜᲘᲔ, 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ. ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲘᲡ ᲯᲐᲠᲔᲑᲘ ᲝᲠᲨᲐᲜᲘᲪᲐᲛᲓᲘᲜ მივიდნენ; ხალხმა მორჩილება გამოაცხადა ᲩᲔᲠᲜᲝᲒᲝᲠᲘᲘᲡ მთავრობისა.

ᲙᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲚᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 18 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

(ᲮᲐᲚᲮᲗᲐ-ᲨᲝᲠᲘᲡ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝᲡᲘ)

ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ:		ᲛᲐᲜ.	ᲙᲐ�პ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ	—	94	25
ᲛᲔᲝᲠᲔ — — —	—	93	50
ᲛᲔᲡᲐᲛᲔᲡᲘ — — —	—	93	37
ᲛᲔᲝᲗᲮᲔᲡᲘ — — —	—	92	87
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲞᲘᲠ.	—	90	12
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ	—	91	12
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ, ᲛᲔᲡᲐᲛᲔ	—	„	„
ᲝᲥᲠᲝ, ½ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ	—	7	73
ᲒᲘᲠᲒᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ	—	„	„

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜᲘ 5% ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘ

		ᲛᲐᲜ.	ᲙᲐ�პ.
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ	—	231	75
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ —	—	225	50

1 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ	— —	25—50	ᲞᲔᲜᲡᲘ
ᲑᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ	— —	217—55	ᲪᲔᲜᲢᲘ
ᲞᲐᲠᲘᲖᲘ	— — —	269—75	ᲡᲐᲜᲢᲘᲛᲘ
ᲕᲔᲜᲐ	— — —	129—25	ᲰᲤᲔᲜᲘᲒᲘ
ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲡᲘᲜᲘ		— — —	

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲥᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲛᲐ ᲦᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔ

(ᲑᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ*)

ᲛᲐᲛᲐᲛ ᲑᲚᲐᲦᲝᲩᲘᲜᲝ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲛᲦᲔᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲨᲔᲘᲧᲐᲠᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, და, ᲨᲝᲠᲘᲓᲐᲛ ᲛᲝᲚᲣᲚᲔᲑᲘ, ᲒᲕᲔᲙᲘᲗᲮᲔᲑᲝᲓᲜᲔᲜ ᲐᲥᲐᲣᲠ ᲛᲐᲗ ᲜᲐᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ ᲔᲜ ᲐᲛᲝᲕᲘᲠᲩᲘᲝᲗ ᲗᲐᲕ-ᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲗᲝᲠ, ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔᲗ. ᲩᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲒᲝᲜᲐ, რომ თქვენ, როგორც განათლებულ კაცსა, ლიტერატურაში და ქეყანაში ცნობილს, საკმაოთ გექნებოდათ გონებითი და ზნეობითი ძალა ამ ყრილობის თავ-მჯდომარის მოვალეობისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, გამოცდილებამ ბოლოს შეგვაცვლევინა ეს აზრი თქვენზე. ᲗᲥᲕᲔᲜ არც გონება გაგყვათ, და არც მაგულის და საქმის სიყვარული ამ მოვალეობის ასასრულებლათ.

მოგახსენოთ რა გვაიძულებს, ᲩᲕᲔᲜ-ᲓᲐ-ᲣᲜᲔᲑᲣᲠᲐᲗ, გითხრათ თქვენ პირში ამ ნაირი უმი სიტყვები.

ᲗᲥᲕᲔᲜ, როგორც თავ-მჯდომარემ, არ აღასრულეთ თითქმის არც ერთი იმ წეს-რიგებთაგანი, რომლების დაცვა მიუცილებლათ საჭირო იყო ამ სხდომისათვის.

ᲗᲥᲕᲔᲜ ვერ უთხარით, მაგალით. ყრილობას რიგიანათ რითი თავდებოდა ქალების სასწავლებლის უფროსის ამორჩევა. მთელი ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ და ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ სამღვდელოებას ეგონა, რომ მორიგოვსკის ქალის შემდეგ მეორე კანდიდატკა უყრიდნენ კენჭს და თქვენ ამბობთ, რომ მე ისე არ მითქვამსო, მე კენჭი არ მიყრიაო (ამაზე ძირს იხილე).

ᲗᲥᲕᲔᲜ არ ადგენდით პროტოკოლებს განჩინების დადების შემდეგ და არ უკითხავდით ყრილობას ამ პროტოკოლებს, ასე რომ ბოლოს, როდესაც ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝᲡ და ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ სამღვდელოებამ შესახებ პარალელური კლასების გახსნისა, რომელზედაც იყო სჯა 7 ოკდ.,

შეიტყო მეორე საღამოს, რომ თქვენ ჩაგეტანათ პროტოკოლში დაენიშნოს სამღვდელოების შემოსავლიდამ ნახევარი და ნახევარი სანთლის ფულებიდამ ამ პარალელელურ კლასების შესანახავათო, სამღვდელოებამ იუცხოვა ეს და ასტყდა უკმაყოფილება.

თქვეს ვერ შესძელით, რომ სიტყვის გათავება დაეცალებია ყრილობას მ.მ. სტასისა, შიუკოვისათვის და სხვ...

თქვენ არჩევდით ერთ კითხვას და როდესაც ეს კითხვა გაუთავებლათ გადიდებოდა მეორის დღისათვის, მეორე დღეს სხვა კითხვას იწყებდით და ამ ნახევრად განსჯილ კითხვას სტოვებდით შემდეგისათვის (კითხვა ქართულ ენაზე აღძრული 7-ს საღამოს და გათავებული 8-ს; შემდეგ ქალ. სასწ. უფროსის კენჭის ყრის).

თქვენ, თავ-მჯდომარემ, არც ერთი წინადადება არ მიეცით ყრილობას, რომ თან არ დაგემატებინოს „ჩემის აზრით ეს ასე უნდა იყვეს“, „მე გირჩევთ ეს ასე ქნათ“ და სხ. და სხ.

თქვენ, მოციქულებრივი თავგანწირულებით, ულაპავდით ყოველნაირ შეურაცხყოფას. თქვენ ვერაფერი ვერ უთხარით მ. პაველიევს, რომელმაც გამოგლანძლათ სხდომის დროს. ეს მოთმინება პიროვნულად თქვენთვის საქები იყო, როგორც თქვენ დაინახეთ, ყრილობისთვის კი ცუდი მაგალითი.

მაგრამ ეს სულყველაფერი წვრილმანია. ამისთვის თქვენ სამდურავიც არ უნდა გითხრას კაცმა. ალბათ, არ იცოდით და უცოდინარობას რა გაეწყობა. ჩვენ უფრო სხვა საქმეზე გემდურით, მ. ბლაღოჩინო: ეს გახლავთ ქართული ენის საქმის თქვენგან ცუდათ წაყვანი და საქალებო სასწ. უფროსის ამორჩევა, რომელსაც საუბედურო, მოყვა ის ცუდი შედეგი, რომ შემოიღო განხეთქილება ძუთაისის და საქართველოს ეპარხიების სამღვდელოებთ შუა, რომელთაც, როგორც თქვენ ბრძანებთ, თამარ მეფის აქეთ არ ქონიათ ერთად ყრილობა.

მთელი სამღვდელოება, როგორც ერთი კაცი, მონდომებული იყო, რომ სემინარიაში დაეწესებიათ ქართული კათედრა. არა ვითარ მსხვერპლს არ ზოგავდა ის ამ მიზნისთვის. ჩვენთვის ეს მეტად სასიხარულო იყო და სამღვდელოებიოხოვნით, დაეწერეთ წინადადება ყრილობის სახელზე, რომელზედაც მოაწერეს ხელი ოცდა ორმა მღვდლებმა (მეტი საჭირო არ იყო). მქსარხოსმა არ ინება, რომ ეს კითხვა ყრილობას გაერჩია, და პირველს მოსვლაზე გამოუცხადა ყრილობას, რომ თქვენ წყარო აღმოჩინეთ და მე ვეცდები, რომ ქართული ენის სწავლა უფრო უკეთესად წავიდესო; მაშინ ჩვენ გავსჯეთ, რომ მთელი საქართველოს სამღვდელოებისაგან მიცემული თხოვნა თითონ მქსარხოსს უფრო მოანდომებიებდა და მისცემდა კიდეც საუფეველს სინოდთან შეამდგომლობისას და ამისგამო გავაკეთეთ თხოვნა მქსარხოსის სახელზე, რომელშიდაც მოკლეთ მოვახსენეთ ჩვენი საჭიროება და ვსთხოვეთ შეამდგომლობა უმაღლესს მთავრობასთან. (ამ თხოვნას გადმოვთარგმნი და დავბეჭდავ ამ დღეებში; ის იყო მოწერილი 53 მღვდლებისაგან, თქვენ არ გინებებიათ ხელის მოწერა). ეს თხოვნა მიართვა სამღვდელოებამ მქსარხოსს, როდესაც ის მეორედ მივიდა სემინარიაში, და მქსარხოსმა თქვენ გიბრძანათ წაგეკითხათ მისთვის ეს თხოვნა, რომელიც თქვენ მთელი სამღვდელოების თან-დასწრებით ხმა-მაღლა, დიაკენურათ, წაუკითხეთ იმას. ამის შემდეგ, არ ვიცი, რათ ამბობთ თქვენ სტატიაში:

„ძლიერ უსაფუძვლოთ გახლავთ ნათქვამი, რომ ქართულად საჭირო საგნების სწავლებაზედ სემინარიაში თხოვნა მიეცესთ ექსარხოსისთვის და მე ძასზედ ხელის-მოწერა არ მეურვებიოს?!“

ამ ნაირ საზოგადოებისა და ბეჭდვის მოტყუილებას ეძახით თქვენ „ბეჭდვითი სიტყვის“ სიყვარულის?! მართალია, მქსარხოსმა არ წაიღო ეს თხოვნა, მაგრამ ხომ მისცა ის სამღვდელოებამ, ხომ მოისმინა მქსარხოსმაც რაც ეწერა ამ თხოვნაში, ხომ უპასუხა სამღვდელოებას მე თითონ გავაკეთებ ამ საქმეს, ოღონდ წყარო აღმოჩინეთო. სამღვდელოებამ ერთ-ხმით მოახსენ, რომ ჩვენ არაფერს არ ვზოგავთ ამის გულისათვისო. შემდეგ, როდესაც, რიგით, ამ ქართულ ენაზე შეიქნა სჯა, სამღვდელოება თანხმდებოდა მიეცა ხუთასი, თუ ექვსასი მანეთი ამ საგანზე, თუ სწავლებასემინარიაში წავიდოდა ისე, როგორც იყო ნახსენები თხოვნაში. საქმე თითქმის გათავებული იყო... მაგრამ მ. ღამბაშიძემ უცებ დახურა სხდომა და გადადო მეორე დღისთვინ. მეორე დღეს, ნაცვლად იმისა, რომ დაეწყო ამ კითხვის გათავება, თავ-მჯდომარემ დაიწყო ქალების სასწავლებლის უფროსის ამორჩევა. ამ ამორჩევამ—როგორც ყოველმა სხვა ამორჩევამ—დაბადა პარტიობა, უთანხმოება და როდესაც ამ გაჯავრებულ გულზე მამა ღამბაშიძემ ქართულ ენაზე დაიწყო ლაპარაკი, უთანხმოებამ იქაც გაწია. თუ ჩვენი თხოვნისამებრ ასწავლით, მაშინ წყაროს აღმოვაჩენთო—ისეთი განუსაზღვრებელი განჩინება დადეს ამ კითხვისა.

„Tu la voulu Jeorges Dandin!“

აქ არ შემიძლია არ მოვიყვანო ერთი ფაკტი, რომელიც მამა ღამბაშიძის უკეთესი ხარაკტერისტიკა იქნება, დარწმუნებული ვარ. ამ ქართული ენის თაობაზე განჩინების რედაქცია შევადგინეთ მე, ფოთის მღვდელმა მაჭაროვმა და შიუკოვმა. ჩვენ გვინდოდა, რომ ყრილობას ეს განჩინების რედაქცია მიეღო. მაგრამ ყრილობას ვინ კითხა რედაქცია. მ. ღამბაშიძემ თითონ დასწერა ეს განჩინება და ამზადებდა ხელის მოსაწერად; მაშინ ჩვენ მიუახლოვდით იმის სტოლს და ვსთხოვეთ, რომ მიეღო დამზადებული და შოფიქრებული განჩინება. მ. ღამბაშიძემ ცალი თვალით გახედა ამ ჩვენ რედაქციას, ცალი თვალით გადმოიღო იქედამ უსტავის პარაგრაფები და უქაზის რიცხვი და თითონ ჰაზრიბიც. მაგრამ, წარმოიდგინეთ, ნაცვლად ჩვენგან შეტანილის უქაზის სიტყვებისა: „შესანიშნავი მოვლენაები საქართველოს სამოქალაქო და საეკკლესიო ისტორიაში და საქართველოს ლიტერატურაში უნდა იკითხებოდეს...“ მამა ღამბაშიძემ დასწერა: „საეკკლესიო ისტორია და საეკკლესიო ქადაგება...“ სამოქალაქო ისტორია და ქართული ლიტერატურა, ისეთი საგნები, რომლის კითხვაზე თითონ უწმ. სინოდის უქაზი ამბობს, მამა ბლაღოჩინმა გამორიცხა პროტოკოლიდამ. რატომ, მამაო ბლაღოჩინო? თქვენ, ჩვენი ქვეყნის ლიტერატურის მოყვარემ, რათ ინებეთ ეს, რამ შეგაშინათ! აქ მაინც წინ უქაზი მიგიძღოდათ! თქვენ მეტს თუ არ ითხოვდით, რიგი, რაც იყო ის მაინც რათ არ ითხოვეთ?!

მეორე, მამა ღამბაშიძის თავ-რიკანი მოქცევა, რომელზედაც მოგახსენებდით, იყო საქალ. სასწავ. უფროსის ამორჩევა. საქმე ასე იყო: ამ ადგილზე თხოვნა ქონდათ შეტანილი ათ ქალს; ამათგან ყრილობამ მარტო ორი კანდიდატები აირჩია: მოროზოვსკისა და მ. წერეთლისა. თქვენ, მამაო ბლაღოჩინო, უნდა გეყარათ კენჭი ამ ორისათვის და, რომ თავ-მჯდომარის თავდარიგი გცოდნოდათ, უნდა გეკითხათ ყრილობისათვის ვისთვის უნდა გეყარათ კენჭი პირველად,—ამის გადაწყვეტა ან წილის-ყრით უნდა ეფიქრიყო, ან სხვა რამე ნაირადვე და არა მოგეხსენებათ „თქვენი აზრი“ იმერეთის და საძეგრელოს მღვდლებთათვის (რომელთ კანდიდატკა იყო წერეთლის ქალი), რომ „რადგანაც ისინი არ იცნობდენ ამ კანდიდატებმა მიენდოთ საქართველოს ეპარხიის დეპუტატებისათვის (რომელთ კანდიდატკა შეიქნა მოროზოვსკისა) სასწავლებლის უფროსის არჩევა.“ თქვენ უნდა გამოგეხსნათ ყრილობა იმის შეტყობიდამ, რომ თქვენ ძალიანი ნდობა გაქვს მამა ბოროლევსკიზე, რომელსაც, თავის მხრით, უფრო დიდი ნდობა ქონია დედა მოროზოვსკიზე. სტატიის დასაწყისში მოგახსენეთ, რომ თავ-მჯდომარის ამ ნაირი ქცევა ბევრათ ვნებს საქმის რიგიანათ წარმოებას. მაგრამ რაც მოხდა მოხდა. თქვენ უბრძანეთ ყრილობას, უყარეთ კენჭი მოროზოვსკისო. კენჭი უყარეს, ამოუვიდა 35 თეთრი და 31 შავი; ეს კენჭები თქვენ გეჭირათ ხელში, თქვენ თითონ მთელი შეკრებულების წინ დასთვალეთ ისინი თითო თითოდ. ახლა კი პირადათ და გაზეთშიაც ამბობთ, კენჭი არ გვიყრია, ამორჩევა განზე მიდგომით იყოვო! თქვენ ამბობთ: „ზამოუცხადე დეპუტატებს, ვისაც სურდა მოროზოვსკის ქალის დანიშვნა, მიმდგარიყვნენ მარჯვნივ მხრით ზალაში და ვისაც სურდა წერეთლის ქალი, მარცხნივ მხრით. ზამოჩნდა, რომ მოროზოვსკის ქალის დროებით დანიშვნაზე განაცხადა ყველა დეპუტატებმა სურვილი გარდა ათი დეპუტატისა სამეგრელოდიმ, რო-

ლობდა ამას და სამღვდელოება მთელი ერთი დღე, ათი საათიდამ დაწყებული ღამის თერთმეტ საათამდე, იბრძოდა იმაზე. ᲨᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲐᲓ, ჩვენ მეტის-მეტად შეეწუხდით, რომ ამ კითხვამ საშინელი განხეთქილება ჩამოაგდო სამღვდელოებს შუა, რომ სამწუხაროთ, მ. წერეთლისა სხვაგან არ ყოფილიყოს და სცოდნებოდა, რომ იმის გულისთვის, როგორც მელნიცა ბრალიან და უბრალოზე ყვიროდნენ: „ᲙᲔᲜᲭᲘ! ᲙᲔᲜᲭᲘ!..“

ᲑᲐᲒᲝᲜᲘᲚᲐ ამ ნაირი პატიოსნება! ᲯᲔᲠ ერთი, განზე მიდგომით მარტო არ გათავებულა ამორჩევა; კენჭიც იქნა საჭირო, როგორც ვსთქვით; მეორე, ათ სამეგრელოს დეპუტატს კი არა, ოც დათერთმეტს მღვდლებს არ უნდოდათ მორიოზოვსკისა ამ ადგილზე, და მესამედ რაზე გაჯიუტდით, რათ მეორე კანდიდატკაც არ უყარეთ კენჭი, რიგი თხოუმშვენიერი ᲔᲚᲕᲜᲔᲡ გულისთვის, ასტყდებოდა ესრეთი ჩხუბი, დარწმუნებული ვართ ის მაშინვე უარს განაცხადებდა ამ ადგილზე.

ᲗᲥᲕᲔᲜ სრულებით დამალეთ ეს კენჭიც და ეს განხეთქილებაც თქვენს სტატიაში, როგორც ᲫᲛᲐ იეზუიტები საფრანგეთის ისტორიის სახელმძღვანელოებიდამ უმალავენ ᲛᲝᲡწᲐᲕᲚᲔᲔᲑᲡ ᲓᲘᲓᲡ Ს ფრანგეთის რევოლიუციას!.

ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚ ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ იმ „ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲛᲫᲘᲡ“ წარმომადგენელზე, რომელსაც თქვენ სამართლიანად უწუნებთ ყრილობაში თავის დაჭერას. დამალვა რა საჭიროა, ეს წარმომადგენელი მე გახლდი და სრული ნება გაქვს ილაპარაკოთ ჩემზე რასაც საჭაროდ დაინახავთ. მაგრამ არა მგონია, რომ იმაზე მეტი სთქვათ რასაც მე თითონ ვიტყვი ჩემ თავზედ. მე ყრილობაში, მართალია, ერთ კუთხეში უნდა სიმჯდარეიყავი და მეწერა ის, რასაც ᲛᲐᲕᲘᲒᲝᲜᲔᲑᲓᲘ, მაგრამ ამის და ნაცვლად მე მოსვენებას არ ვაძლევდი მღვდლებს, წამ და უწუმ ერთი ალაგიდამ მეორე ალაგზე გადავდიოდი და ხან ყურში უჩურჩულებდი, ხან ხმა-მაღლა ველაპარაკებოდი და ანაფორაზე ვეწეოდი, რომ აქ ეს ეთქვა, იქ ეს გადაწყვეტილება მიეღოთ. მე სრულიად არ გემდურით თქვენ, რომ მე, სხვათა შორის, დამითხოვეთ გარე, მ. ᲗᲝᲙᲐᲕᲘᲡ წინადადებით. მე ის მიკვირდა, რატომ მანამდის არ დამითხოვეს, თორემ ამაზე ვინ გაგიბედავსთ საყვედურს..

ᲧᲝᲕᲔᲚ ყრილობას ჰყავს ერთი ისეთი კაცი, რომელსაც უგონებს ეს ყრილობა. მე, თუ შევიძლებდი და თუ ნება მექნებოდა, მინდოდა ამ კაცის როლი მეტვირთა. ᲔᲡ არის ჩემი უწესოების გამომსყიდველი...

Ი. მეუნარგია.

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

*** პეტერბურლის გაზეთში იწერებიან, რომ ფინანსის მინისტრმა წინადადება შეიტანა მინისტრების კრებაშიო, რომ მთავრობამ მოსპოს რუსეთში მარილის აქციზი. მაგრამ ამბობენ, რომ დანარჩენი მინისტრები არ ეთანხმებიან იმას; იმათი აზრით, ამ ჯერობით ისიც საკმაო იქნება, მთავრობამ რომ მომეტებული ბაჟი დაადვას საზღვარ გარეთიდამ შემოტანილ მარილსა.

*** დღეს, კვირას, თორმეტ საათზე, ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲨᲘ იქნება „წიგნის-ცოდნის ᲖᲐᲛᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲚᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ“ საზოგადო ყრილობა გამგეობის და საზოგადოების წევრების ამოსარჩევად.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ იმ ცეცხლის გამო, რომელიც ამას წინეთ გაჩნდა ხიდზე, ᲗᲘᲠᲝᲖᲝᲕᲘᲡ შენობის ერთ მაღაზიაში, ორი კაცი დაჭერილი არისო, პატრონი და პრიკასჩიკი ამ მაღაზიისა, საცა პირველად გაჩნდა ცეცხლი. ᲐᲛ დაჭერის მიზეზი ის არის თურმე, რომ ამათ განგებ ცეცხლის გაჩენას აბრალებენ...

*** ხვალ, ორშაბათს 22 ოქტომბერს, ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲩᲔᲕᲐ სხვათა შორის ორ საინტერესო საგნებზე ექნება სჯა:

მოხსენება ქალაქის გამგეობისა იმაზედ, თუ რა ღონისძიებით შეიძლება ქალაქის შემოსავლის მომატება.

ᲐᲖᲠᲘ ᲖᲐᲛᲔᲒᲝᲑᲘᲡᲐ სასაფლაო ადგილის ამორჩევაზედ.

*** ᲐᲛ ჟამად ჩვენს ქალაქში ერთობ გახშირებულია ყმაწვილების ყელის-ტკივილის (დიფერიტის) ავათმყოფობა, რომლისგანაც, როგორც გვითხრეს, ბევრი იხოცებიანო. შარშან ზაფხულს ეს საშინელი ავათმყოფობა სტავროპოლის გუბერნიაში იყო გავრცელებული და თითქმის სამესამედოთ გაწყვეტა იქაური ბავშობა.

ᲘᲛᲔᲓᲘᲐ, ჩვენი ექიმები ერთს რასმე საშუალებას იხმარენ და ამ თავითვე ენერგიულად მოიქცევიან, რომ ეს ავათმყოფობა არ გავრცელდეს ჩვენში და ისეთნაირადვე არ გაგვიწყვიტოს ბავშები, როგორც სტავროპოლის გუბერნიაში.

*** ᲐᲛ თვის 10-ს პეტერბურლში ᲧᲝᲤᲘᲚᲐ სხდომა „რუსის წარმოებისა და ვაჭრობის წარმატების საზოგადოებისა“, რომელზედაც ერთს ამ საზოგადოების წევრთაგანს უფ. ᲡᲘᲓᲝᲠᲝᲕᲡ მოუხსენებია კრებისათვის ზოგიერთი ცნობები შესახებ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ოქროს მადნებისა. უფ. ᲡᲘᲓᲝᲠᲝᲕᲛᲐ სთქვა, რომ მე ორჯერ ვიყავი ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘᲝ ოქროს მადნების საძებნელად და დავრწმუნდი, რომ მდ. ᲗᲔᲠᲒᲘᲡᲙᲔᲜ ოქრო სრულიად არ მოიძებნებაო; ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ გუბერნიაში (მდ. ᲘᲜᲓᲣᲠᲖᲔ, ᲡᲕᲐᲜᲔᲗᲨᲘ) და ᲖᲐᲥᲐᲗᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲖᲠᲐᲨᲘ, მართალია არის ოქროს მადნები, მაგრამ ისე ცოტა, რომ მუშაობათაც არა ღირსო.

ᲛᲐᲒᲘᲔᲠᲐᲓ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐᲨᲘ [illegible] ᲥᲐᲚᲘᲐᲜ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ [illegible] მაგალითად რკინის, თითბრის, ტყვიის, ვერცხლისა და სხვ. მაგრამ, რადგან იქ ერთის მხრით მუშის შოვნა ძალიან ძნელია და მეორეს მხრით გზები არ არისო, ამის გამო ამ მადნებით სარგებლობა ერთობ ძვირად ჯდებაო.

*** ᲑᲐᲖᲔᲗᲡ „ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ“ იწერებიან ᲧᲐᲠᲡᲘᲓᲐᲛ, რომ ამ ქალაქში იხსნება სამკლასიანი საქალაქო სასწავლებელი. ᲑᲐᲡᲣᲚᲘ ენკენისთვის 9-ს ᲧᲐᲠᲡᲨᲘ გაუხსნიათ აფთიაკი, რომლის პატრონისთვისაც ადგილობრივ მთავრობას 3,000 მ. მიუცია შესაწევნელად.

*** ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ გეწერენ, რომ იქაური საქალებო ᲖᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ ქალები შეეწროებული არიან იმის გამო რომ ამ გიმნაზიის მთავრობა სხვა და სხვა ისეთს რამეებს თხოულობს შაგირდებისაგან, რომლის შესრულება ამათ ერთობ ეძნელებათო. სხვათა შორის, ქალებისათვის გამოუცხადებიათ, რომ უეჭველად მაღალ-ქუსლებიან პოლსაპოჭკებით და კალოშებით უნდა იაროთო, ახალ-ახალი წიგნები და ძვირფას ყდაში უნდა გქონდესთ, აგრეთვე რეეულები უნდაიქონონ ხუთი თეთრისთვის და ხუთი შავასთვის, დაკერებულის და ძველის კაბით სიარული არ შეიძლებაო, საწერელიც უეჭველად იმისთანა უნდა იყოს, როგორც გამოცხადებულიაო და სხვ.

მაგრამ ამაზე უფრო ძნელი კიდევ ის არის, რომ ვილაც ვაჭრისათვის მოუტანინებიათ კლიონკის შლიაპები და შაგირდებს გამოუცხადეს, რომ ყველამ ეს ამგვარი შლიაპები უნდა იყიდოთო. რადგან ზამთარი მოსავლია და კლიონკის შლიაპებში ქალებს შესცივათ, ახლა ბაშლაყების ყიდვაც გამოუცხადეს, ამასაც კიდევ ფორმისას თხოულობენ.

ᲩᲕᲔᲜ გვაკვირვებს ამგვარი ერთობ წვრილმალი მოთხოვნილება ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲔᲑᲝ ᲖᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲡ მთავრობისაგან; გვაკვირვებს მით უფრო, რომ თითქმის არცერთი ამგვარი მოთხოვნილება არ არის ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲔᲑᲝ ᲖᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲨᲘ, სადაც ამას გარდა სწავლის ხარჯი, ხუთი თუმნის მაგიერ, რომელიც ᲫᲣᲗ. ᲖᲘᲛᲜᲐᲖᲘᲘᲨᲘ დანიშნული, არის მხოლოთ ოთხთუმან ნახევარი. შლიაპაც აქ როგორიც ჰსურსთ და როგორსაც შეძლებენებას აძლევს, იმისთანას იხურვენ, აგრეთვე ფეხსაცმელებს და სხვ.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲧᲛᲐᲬᲕᲘᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ამზადებს ბავშვებს პირველ და მეორე კლასისთვის. მსურველს შეუძლია თვისი ადრესი დასტოვოს „ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“ რედაქციაში.

(5—1)

გამგებელი კომიტეტი ქუთაისის სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთა შემწეობის საზოგადოებისა აცნობებს უფ. ამ საზოგადოების წევრთა, რომ, მიმდინარე ოქტომბრის თვის 21 რიცხვს, დილით ათ საათზე, ქ. ქუთაისს პროგიმნაზიის სადგომზე (თბილისის ქუჩაზე, ლინჩევსკის სახლებში) იქნება მორიგი საზოგადო კრება.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები:

1. მოსმენა საზოგადოების მოქმედებისა წარსული წლის განმავლობაში.
2. განხილვა საზოგადოების ხაზინადრის წლიურის ანგარიშისა.
3. აღრჩევა გამგებელი კომიტეტის წევრთა.
4. აღრჩევა მოთვალ-ყურეს კომისიის წევრთა.
5. განხილვა საწუალებათა და წინადადებათა საზოგადოებს მიზნების უკეთ მიღწევისათვის.
6. განხილვა გამგებელი კომიტეტის წინადადებისა საზოგადოების წესდების რომელთამე მუხლთა შეცვლაზე და თვით წესდების შეჩვენაზე.
7. განხილვა კითხვებისა საწერო ფულის შემოტანისათვის საზოგადო ერთნაირი ვადის დადგენაზე.
8. განხილვა გამგებელი კომიტეტის დარიგების (ინსტრუქცია) პროექტისა და დამტკიცება მისი.

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

ქალაქის გამგეობა უცხადებს ტრაქტირებისა, ხარშოვნიკებისა და პასტა�alი დეკორების პატრონებ, რომ, თანახმად ტრაქტირების წესდების § 17 მუხლისა, ისინი ვალდებულნი არიან ამ ოქტომბრის (ღვინობისთვის) განმავლობაში შემოიტანონ ქალაქის გამგეობაში ხვედრი ფული და მიიღონ ვაჭრობის უფლებისათვის ჯეროვანი მოწმობა 1880 წლისათვის. ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, იმათ ტრაქტირებსა, ხარშოვნიკებსა და პასტაიალი დეკორებს უპრავა უეჭველად მომავალი 1880 წლის 1 იანვარს დაკეტავს.

დედანი

(პროპისი) სურათებით

შედ. ან. ჯუღელისაგან

გამოვიდა და ისყიდება შემდეგ ადგილებში:

თბილისს: ჩარკვიანის, ვართანოვის და ბრიკეროვის წიგნის მაღაზიებში,

ქუთაისს: სასულიერო სასწავლებელში და ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში,

სამეგრელოში: სასულიერო სასწავლებელში დ. სუჯუნას თოფურიძის ლუქანში და აბაშაში უფ. ანტ. კეკელიასთან მკოლაში,

ოზურგეთს: სასულიერო სასწავლებელში,

ხონში: უფ. ჭალაგანიძესთან,

გორს: სასულიერო სასწავლებელში,

თელავს: სასულიერო სასწავლებელში და ხირსელოვის წიგნის მაღაზიაში,

სილნაღს: უფ. კ. ბალაშვილთან.

ფასი ერთის ეგზემპლიარისა აბაზი.

ყველა წიგნების მაღაზიებში თფილისში და ქუთაისში

ისყიდება

თამარ ბატონიშვილი

ხუთ-მოქმედებიანი დრამა

გადმოკეთებული კ. მესხისაგან

ამოვიდა და ისყიდება ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ბროშურა

„ჩვენი დედ-გმირები“

(ქართველი მწერლების სურათები)

სტეფანე ჭრელაშვილისა

ფასი ერთი აბაზი

(4—4)

გ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში, ქაშვეთის ეკლესიის შენობაში, № 1 და **იყიდება** შემდეგი ახალი **ქართული წიგნები:**

თვალ-საჩინო სწავლა ახლად შესრულის ყმაწვილებისათვის სახალხო შკოლებში. შედგენილი მიხ. ჭიჭინაძისაგან—ფასი 40 კაპ.

ბანჯგვლიანი ფუტკარი—თხ. აევენარიუსისა ნათარ. ალ. აბაზიძესაგან—ფასი 15 კაპ.

ბლახის ნამბობი მოთხრობა ილია ჭავჭავაძისა. ბამ. არ. საფაროვისაგან ფასი 25 კ.

რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ პოემა ილია ჭავჭავაძისა გადმობეჭ. ჟურნ. „ივერიდგან“ ფასი 10 კაპ.

ცოლი თუ გინდა ესარის, ვოდევილი ვასილ აბაშიძისა ფასი 10 კ. და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

Въ Тифлисъ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани въ зданіи Кашветской церкви, № 1 и 2.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18	-			
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
ბორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური . . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი . . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი. . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი. . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი	9	3						
ახალ-სენაკი.	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი . . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
ბორი	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილისი. .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ

	მან	კაპ.
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში	—	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს,	2	—
პეტერბურღს, ვარშავს	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში.	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ ღღ კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქაზეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისს და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

	კაპ.
წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	
ლა წიგნის	3
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	7

მაზანდა	მან	კაპ.
თფილისი 9 ოქტომბ.	—	—
ფქვ. თეთ. ბანჯისა ფუთ.	2	55
ფქვ. წითელი . .	2	20
ქერი ფუთი . . .	1	40
ბამბა ერევნისა, ფუთი.	8	65
—ამერიკისა, ფუთი .	9	30
ბაბენტილი ბამბა ფუთი.	11	70
მატული თუშური ფუთი.	8	20
—თრაქამისა ფუთი .	3	70
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი ფუთი . . .	5	80
ქონის სანთელი ფუთი.	7	60
სტეარინის სანთელი ფ.	11	65
ხორცი ძროხისა ლიტრა	—	—
—ცხვრისა, ლიტრა . .	—	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი ბროკ. ფუთ .	7	25
—ფხვნილი ფუთი .	5	70
ყავა რგვალი ტრე. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი.	14	—
თამბაქო საშუალო ფთ.	6	70

თფილისის სამკურნალო.

ერევნ. მიდ., წინ-მძღვაროვ. სახლი.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

ორშაბათს: ლისიცევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათმყოფობის.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; რეიხი—თვალის, ჭურავლევი—ვენერიულის, და კანისა; ბაბოვი—გულისა და შინაგ.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგ, ასტეა-ცატუროვი—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყ. და ჭურავლევი—კანის და ვენერიულის.

პარასკევს იქნებიან: ლისიცევი, შინაგ.; ასტეა-ცატუროვი—ვენერ. და კანის; ბაბაევი—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

შაბათს: ვერმიშევი, შინაგ.; ჭურავლევი.—ვენერ. და კანის რეიხი—თვალის.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Октября 1879 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.